



სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

30/12/2025



MES 3 25 0001860817

ბრძანება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს №1015087 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 და მე-14 პუნქტების, ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2025 წლის 12 დეკემბრის №1776745 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 მაისის №362/ი ბრძანება.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
4. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

